№ 16. 23 იანვარი, პარასკევი. 1866—1881 23 იანვარი, პარასკევი. № 16

რედაქცია
ვაკლავინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ-ში გლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში გა-რეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ. წვეულებრივის ასო. მოკვრილით ასოზე ნახევარი კაპ. წვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხანდხთა მორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი**, 21 იანვარს. „მმართველობის მოამბეში“ დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება სენატორის გაგალენსკისადმი, რომ რევიზია უყოს ორენბურღის გუბერნიასა და ორენბურღის გენერალ-გუბერნატორის გამგეობას.

**სან-ფრანცისკო**, 20 იანვარს. აქ მოვიდა სანდვიჩის კუნძულების მეფე კალაკაუა; იმას განზრახვა აქვს, რომ ევროპისა და აზიის ზოგიერთი ქვეყნები დაიაროს.

**პეტერბურღი**, 21 იანვარს. გაზეთ „ნოვოსტის“ გაუგონია, რომ კაკკასიის ტამოჟნის უწყება მალე ფინანსის მინისტრის გამგეობაში გადავა.

გაზ. „გოლოსს“ სწერენ ოდესიდამ: აქაურ უნივერსიტეტის სტუდენტებს საკითხავი ბიბლიოთეკის გახსნის ნება-რთვა მიეცა. ხარკოვიდამ იმავე გაზეთში იწერებიან: ტეხნოლოგიური ინსტიტუტი შემოდგომაზე გაიხსნება.

„ნოვოსტს“ გაუგონია ფოშტის სამინისტროში სჯა არის ამ ჟამად იმაზედა, რომ ყველა ფოშტის სტანციებში შეიძლებოდეს ხელის-მოწერა ჟურნალ-გაზეთებზედა.

---

**ტფილისი**, 22 იანვარს.

ვერაფერი დღე დაუდგა საბერძნეთს. ბერლინის კონგრესმა, როგორც მოგეხსენებათ, განიხილა სხვათაშორის საბერძნეთის საქმეც. მართალია თვითონ საბერძნეთს კენჭი არა ჰქონია საქმის გარდაწყვეტაში, მაგრამ მაინც მოწვეული იყო იმ ყრილობაში რათა წარედგინა თავისი, ჩივილი და გულის წადილი. კონგრესმაც იმოდენად მაინც ჰსცა პატივი საბერძნეთს, რომ თვის განჩინებაში ჩაურთო ცალკე მუხლი საბერძნეთის შესახებ. ამ მუხლის ძალით საბერძნეთსაც, ბოლოსდა-ბოლოს, უნდა ჰრგებიყო ორიოდე ლუკმა ოსმალეთის სამფლობელოდამ.

ბევრი ხანი გავიდა მას აქეთ: ბევრი რამ ასრულდა კონგრესის განაჩენიდამ, ჩერნოგორიასაც ერგო თვისი კერძი, მაგრამ საბერძნეთის მდგომარეობაში კი არავითარი ცვლილება არა მოხდა-რა. საბერძნეთიც რასაკვირველია მოთმინებიდამ გამოვიდა და ხმა ამოიღო.

საბერძნეთის გულ-ნაკლულობა მით უფრო ადვილად წარმოსადგენია, რომ თვით საფრანგეთშიაც, რომელმაც უწინ ისეთი ცხარე მონაწილეობა მიიღო საბერძნეთის საქმეში და საჯაროდ აღიარა თვისი გულითადი თანაგრძნობა ამ პატარა სახელმწიფოის მიდრეკილებისადმი, თვით საფრანგეთმაც მეთქი თითქმის სრულიად უღალატა: ბოლოს როცა საბერძნეთმა მტკიცედ განაცხადა სურვილი ევროპის სახელმწიფოთა გარდაწყვეტილების აღსრულება, საფრანგეთმა უპასუხა—მე ხელი დამიბანიაო. მართალია საფრანგეთის ამ გვარის საქციელისათვის არის მრავალი შესაწყნარებელი მიზეზი,—მიზეზი, რომელიც არსებობს თვით საფრანგეთის აწინდელს საპოლიტიკო მდგომარეობაში, როგორც შინაგან ისე გარეშე საქმეთა შესახებ, და რომელზედაც შემდეგ გვექნება ლაპარაკი. მართალია მეთქი ყველა ეს, მაგრამ ამით მაინც არავითარი შვება არ ეძლევა საბერძნეთის საქმეთა მომართულობას და მის მოთხოვნილობას. სახელმწიფოთა გარდაწყვეტილებაშიო, ეუბნება საფრანგეთი, არავითარი მტკიცე განჩინება არ არსებობსო, ესე იგი იმისთანა არა არის-რაო, რომლის აღსრულება ძალა-უნებური იყოს ოსმალეთისათვისაო; ევროპამ აღიარა მხოლოდ წინადადება, რომლის ასრულება ფრიად სანატრელი იქნებოდაო სახელმწიფოთათვის.

ამას გაჰყვა მედიატორობა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა ოსმალეთისა და საბერძნეთის შორის ატეხილი განხეთქილება. რასაკვირველია, ადვილად წარმოსადგენია თუ რა ბედი უნდა მოჰყოლოდა ამ მედიატორობას. ოსმალეთმა უარ ჰყო: სრულიად თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოისათვის ეს მედიატორობა საკადრისი არ არისო. არცარა საბერძნეთისათვის იყო საამური: რა ჰკუა იქნებაო, რომ ჩემი იმედი და მოთხოვნილება, რომელიც აწ დამყარებულია ევროპის გარდაწყვეტილებაზედ, გავაუქმოო და საქმე ხელ-ახლად დავიწყოო: გარდა ამისა, მედიატორობა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მედიატორად არის იმისთანა კაცი, რომელიც თვითონ პიროვნულად არ არის გაბმული საქმეში და მაშასადამე შეუძლიან იქონიოს პირ უთნეველი და აღალ-მართალი სჯა წამოყენებულ საგანზედ. საბერძნეთისა და ოსმალეთის შორის მედიატორად უნდა ყოფილიყო რასაკვირველია რომელიმე უმთავრესი, სახელმწიფო. აბა რომელს ერთს სახელმწიფოს შეუძლიან დააკმაყოფილოს ზემოხსენებული აუცილებელი პირობა?

მედიატორობამ უქმად ჩაიარა, თვით საფრანგეთმაც კი ხელი აიღო. მაგიერად ოსმალეთმა გაუგზავნა სახელმწიფოებს წინადადება—დესპანები გამოგზავნეთ და კონფერენცია შევადგინოთ სტამბოლშიო. მართლა მოხდება ეს კონფერენცია თუ არა—რა მოგახსენოთ. მაგრამ ადვილად წარმოსადგენია თუ რა ბოლო მოელის ამ კონფერენციას, კიდეც რო მოხდეს. ამასობაში საბერძნეთში მოისმის ზარბაზნების გრიალი და თოფიარაღის ჩახა-ჩუხი.

---

### ოფიციალური ცნობა ახალ-თეკედამ

ღენერალ სკობელევი იწერება შემდეგ დაწვრილებით ამბავს გეოკ-თეფეს აღებაზედ 12 იანვარს:

„გეოკ-თეფეს ციხეზე იერიშით მისასვლელად დანიშნული იყო სამი კოლონა: პოლკ. კუროპატკინისა, პოლკ. კოზელკოვისა და პოდპოლკ. გაიდაროვისა.

„პოდპოლკ. გაიდაროვის კოლონა დილის 7 საათზე მიადგა იერიშით წინიდგან მტრის ციხეს. აპავე დროს

---

**«დროების» ფელეტონი**, 23 იანვარს.

### მეცნიერებიდამ.

ფოტოფონი ბელლისა, რომელიც გარდასცემს ადამიანის ლაპარაკს სინათლის შუქის შემწეობით.

1878 წელს ინგლისიდამ მეცნიერმა გრაჰამ ბელლმა გამოიგონა ახალი აპპარატი (იარაღი), რომელსაც დაარქვა სახელად ფოტოფონი და რომელიც რამდენიმე ვერსტის სიშორეზედ გარდასცემს ადამიანის ლაპარაკსა და თუ სხვა რამ ხმაურობას.

1817 წ. ქიმიკოსმა ბერცელიუსმა აღმოაჩინა ახალი ნივთიერება სელენი, რომელიც გოგირდს წააგავს. სელენსა აქვს სხვათა შორის ერთი შესანიშნავი თვისება, (რომელიც ზოგიერთს სხვა ნივთიერებათათვისაც შეუმჩნევიათ) ის უფრო ადვილად გაატარებს ელექტრონულს დენას *) სინათლეში, ვიდრე სიბნელეში. გრაჰამ ბელლმა ისარგებლა სელენის ამ თვისებითა ადამიანის ლაპარაკის გარდასაცემად დიდს მანძილზედ მხოლოდ სინათლის შუქის შემწეობით.

წარმოიდგინეთ, ერთს ადგილს (სტანციაზედ) იმ ნაირად არიან მოპირთული სარკეები, რომ მათზედ დაცემული სინათლის შუქი მეორე სტანციაზედ დანიშნულს ადგილს ეცემა. დასდეთ ამ ადგილს სელენის ნაჭერი და შიგ გაატარეთ ელექტრონული დენა (გალვანური ბატტარეის შემწეობით). ვსთქვათ პირველს სტანციაზედ თქვენ ხან აძლიერებთ, ხან ასუსტებთ და ხან სრულებითაც აქრობთ სინათლის შუქს (მაგალითად ელექტრონული ლამპისას). რასაკვირველია, ამის-და-გვარად მეორე სტანციაზედაც სელენს ხან ძლიერი შუქი მოადგება, ხან სუსტი და ხან სულაც სიბნელეში ვარდება (სელენს ამ შუქის გარდა სხვა სინათლე არ უნდა ჰხვდებოდეს). ზემოხსენებული სელენის თვისებისამებრ მასში გავლილი ელექტრონული დენაც ხან მატულობს სიძლიერით, ხან კლებულობს და ხან სრულიადაც ისპობა. მხლა საქმე იმაშია, ისეთი ღონის-ძიება გამოვიგონოთ, რომ სინათლის შუქის გაძლიერება, დასუსტება და მოსპობა პირველს სტანციაზედ ადამიანის ლაპარაკის კილოს ამაღლებას და დაშვებას ასდევდეს.

თქვენ გაგეგონებათ, რომ ხმა წარმოსდგება ჰაერის მოძრაობისაგან; ჰაერი უნდა იძროდეს ანუ ირხეოდეს ჯეროვანის სისწრაფით: არანაკლებ 16 და არა უმეტეს 38,000 შერხევისა ერთს სეკუნდში. კაცის ყური ვერ გაიგონებს ხმას თუ ჰაერი 16-ზედ ნაკლებჯერ შეირხა სეკუნდში ან 38,000-ზედ მეტჯერ. რაც უფრო მეტის სისწრაფით ირხევა ჰაერი, მით უფრო მაღალი ხმა ისმის. ადამიანის სიტყვა ანუ ლაპარაკი შესდგება სხვადა-სხვა სიმაღლის ხმისაგან.

მხლა რომ ისეთი ღონის-ძიება მოვიპოვოთ, რომლის შემწეობითაც

*) ელექტრონული დენა ის ძალაა, რომლითაც მოქმედებს ტელეგრაფი კს ელექტრონული დენა გაივლის რკინის (შეიძლება სხვა მადნეულობაც იყოს) მავთულში და ერთის სტანციიდამ მეორეში გარდასცემს ამბავს ტელეგრაფის ნიშნებით ან ასოებით. ელექტრონულს დენას, სხვათა შორის, ის თვისება აქვს, რომ იმ ნივთთან, რომელშიაც თითონ გაივლის, მიიზიდავს რკინის, ფოლადის, ან სხვა რამ მადნეულის ნაჭრებს.

მეორე მხრიდამ პოლკ. კოზელკოვის კალონამ 36 ზარბაზანი დაუშინა ციხეს. დილის 11 საათზე ბაიდაროვის კალონამ დაიჭირა ერთი წინა ნაწილი ციხისა 11½ საათზე ააფეთქეს ლაღმი, რომელიც წინა დღეს იყო გაყვანილი ციხის კედლის ქვემოდამ. ლაღმის აფეთქებისათავე კოზელკოვისა და კუროპატკინის კალონები იერიშით მივიდნენ ციხეზე და დაჰკრეს კედლები. დაიწყო საშინელი ხელ-ჩართული ბრძოლა. ერთის საათის განმავლობაში მტერი გამაგრდა ციხის კედელზე. მაგრამ, როდესაც ჩვენებს ახალი ჯარები (რეზერვი) მიაშველეთ, მტერმა დაგვითმო კედელი და შიგ ციხეში დაიწია. ახლა აქ შეიქნა გაცხარებული ხმალ-ხმალ ომი. ორ საათზე ჩვენ დავიჭირეთ ერთი მთა, რომელიც ციხეს ზემოდამ დასჩერებოდა და ამის შემდეგ მტერი გაიქცა.

„გაქცეულ მტერს გაადევნეთ ცხენოსანი ყაზახის ჯარები ზარბაზნებით, რომელიც 15 ვერსზე მისდევდა იმათ და ბევრიც დახოცა.

„ჩვენ დაგვრჩა: მთელი ბანაკი მტრისა, უანგარიშო თოფ-იარაღი, სხვათაშორის ჩვენი ბერდანის თოფები, ბევრი ზარბაზნები თავის ყუმბარებითა, რამდონიმე ბაირაღი, იმათი ქოხები და კარვები, დიდ-ძალი ფქვილი და ფურაჟი. ტყვედ ავიყვანეთ ერთი გავლენიანი კაცი მოთავე ერთის ადგილობრივ თემისა და 4,000 ოჯახი, ამათში 3 იმამი და 700 სპარსელი. ბრძოლის ველზე ჩვენ დავთვალეთ 4,000 დახოცილი მტრის გვამი და ამას გარდა ცხენოსანმა ჯარმა დახოცა ძალიან ბევრი, როდესაც გაქცეულ მტერს მისდევდა“.

## ახალი ამბები

კავკასიის მთავარ-მმართებლის მოადგილე ღენ.-ადიუტ. თ. ლ. ი. მელიქოვი ინახულებს კვირაში ორჯელ: სამშაბათობითა და პარასკეობით დილის 10 საათზე.

* * *

გაზ. „კავკაზს“ გაუგონია, რომ ტფილისში ჩამოსულა ორი ვიღაც ფულიანი კაცი, რომელთაც განზრახვა აქვსთო, რომ ქალაქის ქუჩებში ცხენის რკინის გზა გაიყვანონ.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, კავკასიის ნ მესტნიკის რჩევას განუხილავს პროექტი ლენკორანის მაზრაში შაქრის ქარხნის დაარსებისა. კამპანიას გამოუანგარიშებია, რომ ამ საქმისათვის 800 ათასი მან. იქნება საჭირო და ამის გამო ქარხნის დამაარსებელნი სთხოვენ მთავრობას, რომ იმათ ექვსის წლის განმავლობაში შაქრის უაქციზოთ გასყიდვის უფლება მიენიჭოსთ. ამბობენ, მთავრობა თანახმაა, რომ ეს უპირატესობა მიანიჭოს ხსენებულ კამპანიასაო.

* * *

პეტერბურღიდამ გვწერენ, რომ გუშინ, 22-ს, იქაურ ქართველ სტუდენტებს უნდა ჰქონოდათ ქართული წარმოდგენა, რომლის შემოსავალი დანიშნული არისო ღარიბ ქართველ სტუდენტებისათვისაო. უნდა წარმოადგინონ ბ. ავ. ცაგარლის პიესა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!“

* * *

სომხებსაც გაუმართავთ პეტერბურღში 8 იანვარს წარმოდგენა კონონოვის ზალაში. უთამაშნიათ კომედია „დალალ დადო“ და ვოდევილი „სადამოს ცხვირი კარგია!“ პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ წარმოდგენა კარგათ, ცოცხლად ვერ წაიდაო, ბევრს ძილიც მოეკიდაო, მაგრამ ლეკურმა გააცოცხლა მაყურებელი ხალხი და, ამ ლეკურის თამაშის წყალობით, ყველანი კმაყოფილნი დარჩნენო ამ საღამოსიო.

* * *

„კავკაზის კურიერში“ დაბეჭდილია ბათუმიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი სხვათაშორის გვაცნობებს, რომ ამ ქალაქიდამ სამტრედიამდის რკინის გზის მუშაობა უკვე დაუწყიათ. ამბობენო, რომ ეს გზა თოთხმეტი თვის განმავლობაში უნდა გათავდესო.

კორრესპონდენტის აზრით, ამ რკინის გზას გარდა, აუცილებლად საჭიროაო, რომ ერთის მხრით ბათომიდამ ახალ-ციხემდინ და მეორეს მხრით ყარსამდინ (არტაანზე) გაიყვანონ შოსსეს გზაო.

* * *

ახალ-გორიდამ (დუშეთის მაზრიდამ) გვწერენ, რომ ჩვენს სოფელში სცხოვრებს ერთი ისეთი მოხუცებული ოსი, რომელსაც თავის მარხილით ამოუყვანია ანტონ კათალიკოზი მცხეთიდამ ლარგვისის ეკლესიაში. იმას კარგათ ახსოვს თურმე მეფე ერეკლე. ვიება ვაჟ-კაცი ვიყავიო, ამბობს, როდესაც მეფე ჩვენში მობრძანდაო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

**შორაპნის მაზრა**, 18 იანვარს. ბავშვი, რომელიც შობის წინა ღამეს დაიკარგა ს. ჯალაურთაში, მოინახა როგორც კიდეც ვაცნობე „დროების“ მკითხველებს. გამოჩნდა გამოძიებიდგან, რომ ბავშვი ყოფილა თორმეტი წლის, არა სრული ჭკუისა და თითქმის ბლუ.

თექვსმეტი დღე და ღამე ეძებეს, მაგრამ ვერ ნახეს; მეთექვსმეტე დღეზე ნახეს ერთ ტყეში მშობლის სახლიდამ სამ ვერსზე.

ბავშვს ცმია ერთი დაგლეჯილი პერანგი და მისი ამხანაგი. სხვა სათბილო არაფერი არ ჰქონებია ტანზედ. სჩანს, რომ ბავშვი სიცივისაგან არის მომკვდარიო. ექიმის შემოწმებით გარეგანათ არაფერი არა ეტყობა-რა ძალათი სიკვდილისაო...

ამ შემთხვევაში უეზდის ნაჩალნიკის მოადგილე—ჯისი თანაშემწე ალავიძე მარჯვეთ იყო. ქველამ მალე მიაქცია ყურადღება და საქმეც კარგათ აიხსნა. წინეთ რომ ბავშვი დაიკარგა, მაშინ ყველანი სუსტათ იყვნენ და იმიტომაც იცე დაიხლართა საქმე...

წინანდელს ჩემ კორრესპონდენციაში, მე ვამბობდი: „[illegible]ისათვის სალაპარაკო საგანი [illegible] არის ერთი ბავშვის დაკარგვა.“ ეს ჩემი სიტყვები „დროებიდამ“ გაზ. „კავკაზს“ გადაუთარგმნია ასე: „დროებას“ აცნობებს კორრესპონდენტი შორაპნიდამ, რომ იქ ერთს სოფელს ჯალაურთაში დაკარგულა ერთი პატარა ბავშვი; ხალხს ეჭვი აქვს შეტანილი ამ ბავშვის მოტაცებაზე ურიებზე და ძლიერ აღელვებულნი არიანო.“ „ბავშვის დაკარგვაზე ლაპარაკობენო“ ეს სრულებით არ ნიშნავს ხალხის აღელვებას!.. ხალხი არასოდეს არ აღელვებულა, არც პირველი ბავშვის დაკარგვის დროს და არც ეხლა. ეს „ხალხის აღელვება“ გახლავსთ მოგონილი მოსამსახურე პირებისაგან, რომელნიც სარგებლობას გამოელიან ამისთანა ხმებიდგან...

რადგან სიტყვამ მოიტანა, ორიოდე სიტყვა ყვირილელ „კავკაზის“ კორრესპონდენტს მინდა უძღვნა.

გაზეთს „კავკაზში“ დღეს ჩვენ წავიკითხეთ ერთი ყვირილიდამ გაგზავნილი კორრესპონდენცია, რომელიც მოგვითხრობს ყვირილის „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის“ და „ცხოველებთა შემბრალე-საზოგადოების“ მოსპობას. ბატონი კორრესპონდენტის ჰაზრით, ამ ამხანაგობისა და საზოგადოების მოსპობის მიზეზი არის ის, რომ აქ მოინახება იმისთანა კაცი, რომ ეს საქმე ეკისრნაო. ძლიერ მოტყუებული ბრძანდება კორრესპონდენტი ამ ჰაზრში. ალბათ იმან არ იცის შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის მიზანი და ჩვენი ყვირილის გარშემო სოფლის გლეხების მდგომარეობა. ვინც მოინდომა პირველათ ამხანაგობის დაარსება, იმას შეეძლო იმისი წაყვანაც; მაგრამ ამისთანა ამხანაგობის დანიშნულება არ სრულდებოდა აქ. აქაურ გლეხს ერთი თუმანი და ოთხიც არ სჭირდება ისე, როგორც სხვა სოფლებში. იმ სარგებლით, რამდენათაც ეს ბანკი აძლევდა მათ ფულს, იმაზე ნაკლებ

---

შეგვეძლოს ჰაერი იმ ნაირის სისწრაფით შევარხიოთ, რა სისწრაფითაც არხევს მას ყოველი ადამიანის პირიდამ გამოცემული ხმა, მაშინ შეგვიძლიან ამ ლონის-ძიებით აღვადგინოთ ერთხელ წათქვამი ადამიანის სიტყვა.

გადააკარით კრიკალს მეში და დაიხმაურეთ ზედ: თქვენი ხმისაგან შეძრული ჰაერი უთუოთ შეანძრევს, ანუ, უკეთ ვსთქვათ, შეარხევს ამ მეშსაც. შეგვიძლიან ადვილად შევნიშნოთ მეშის შერხევა მასზედ, რომ წმინდა ქვიშა დავჰყაროთ ან სათამაშო კარტი გაამაგროთ.

ამ შენიშვნის შემდეგ ადვილად მიჰხვდებით გრაჰამ ბელლის ფოტოფონის მოქმედებას.

ხის ყუთის ძირზედ გადაკრულია მეში, რომელზედაც თავდაღმა მიკრულია სათამაშო კარტი. კარტი და ყუთის ძირი გვერდი წვრილად გამოჭრილია, ისე რომ, როდესაც კარტი არ იძვრის, ყუთის ერთი მხარიდამ მეორეში შეიძლება გაიაროს სინათლის სხივმა. ყუთს უკან ისეა დაყენებული სარკე, რომ მასზედ დაცემული ელექტრონული ლამპის შუქი სწორედ ყუთისა და კარტის ხვრელში გაივლის და მეორე სტანციაზედ სელენის ნაჭერს მოჰხვდება.

როდესაც კაცი დაილაპარაკებს იმ მეშის ახლო, ჰაერით გაძრული მეში იწყებს ლაპარაკის კილოსებრ რხევას და თანაც ატოკებს მასზედ მიკრულს კარტს. კარტი რომ ტოკამს, მასში გამავალი სინათლის შუქი ხან ასუსტდება, ხან მატულობს და ხან სრულადაც ჰსწყდება. ეს იმაზედა ჰკიდია, თუ ყუთის მეში როგორ ირხევა. მეშის რხევა კიდევ იმ ხმებს ასდევს, რომლებიდგანაც შემდგარია ლაპარაკი.

მეორე სტანციაზედ, სადაც ლაპარაკი უნდა გარდაიცემოდეს ფოტოფონის შემწეობით, სელენში გატარებულია ელექტრონული დენა. ეს ელექტრონული დენა ხან მატულობს, ხან სუსტდება და ხან სულ სწყდება, იმავე სახით, როგორც სელენზედ შემოფენილი პირველი სტანციიდამ გამოსული სინათლის შუქი. სელენის ახლო დამაგრებულია (რეზონატორზედ, ე. ი. ცარიელს ყუთზედ, რომელიც აძლიერებს ხმას) ფოლადიდამ პრტყლად გამოჭრილი ნაჭერი; სელენში გატარებულის ელექტრონულ დენის ძალით ეს ფოლადის ნაჭერი მოიზიდება სელენთან, და როდესაც ელექტრონული დენა შესწყდება, მოშორდება მას თავის-თავად.

სინათლის შუქის მოქმედებით ელექტრონული დენა სელენში ხან მატულობს, ხან სუსტდება და ხან სრულებითაც ისპობა. ფოლადის მათულიც ხან მომეტებულის სისწრაფით მოიზიდება სელენთან, ხან ნაკლებათ, ხან სრულებითაც სდგება.

თუ სინათლის შუქი ამ ნაირის მოქმედებით ლაპარაკის ცვლილებას ასდევს, მასვე აჰყვება ელექტრონული დენის მოქმედება და ამისგან კიდევ ფოლადის მავთულის რხევა ანუ ძგერა. შერხეული ფოლადის მავთული კიდევ არხევს ჰაერს და ჰაერი გამოსცემს იმავე ხმებს, რომლებიდგანაც შემდგარი იყო პირველს სტანციებზედ ხის ყუთთან ნათქვამი სიტყვები.

აი ამ სახით გრაჰამ ბელლისაგან გამოგონილი აპპარატი — ფოტოფონი გარდასცემს ძალიან დიდს მანძილზედაც (სანამდის მივა სინათლის სხივი) ადამიანის ლაპარაკს.

მოვიგონოთ რაცა ვსთქვით ბელლის ფოტოფონზედ:

კერძო პირისაგან ღებულობენ ფულს. ექვსი თვე გავიდა თითქმის, რომ არავინ ფული არ გაიტანა, არავის არ ჰქირდებოდა გლეხთაგანს. ვაჭრებთაგანაც ვინც შემოვიდა, იმათთვის ასი მანეთის მოტანა არაფრით არ ღირდა. ამისთანა ამხანაგობანი კარგი და სასარგებლოა მოშორებულ სოფლებში, სადაც ფულის სიძვირე არი, და ამისთან დაბაში და ამისთანა შეძლებულ გლეხებს შორის, ამგვარი ამხანაგობა სარგებლობას ვერ მოატანს.

აი ეს იყო უმთავრესი მიზეზი ქვირილის შემნახველ—გამსესხებელ ამხანაგობის მოსპობისა და არა უთავიანობა. ცხოველებთა შემბრალე საზოგადოების — განყოფილებაზე რა უნდა სთქვას კაცმა! თვითონ თფილისის საზოგადოებას არაფერი საკვირველებანი ჩაუდენია და ქვირილის განყოფილებისაგან რა უნდა მოითხოვოს კაცმა! აქ რა უნდა ჰქმნა კაცმა ცხოველების შებრალებაზე, როდესაც ხედავ, რომ ორ ფეხ ცხოველებს ღრანჯს ამტვრევენ მუშტებით?! დარწმუნდით, ამ განყოფილებისაგან არაფერი არა გამოვიდოდარა, იქნებოდა თუ არა...

კორრესპონდენტი ამბობს: 19 თებერვალს ფულები შეაგროვეს ქალების სკოლის გასახსნელადო და საზოგადო შაგირდების ბინის გასაკეთებლათო. ჩემის ჰაზრით, შაგირდების ბინის გაკეთება სჯობს, მაგრამ „დროებაში“ ამტკიცებდნენო, რომ ქალების სწავლა უმეტესად საჭიროა და არა შაგირდების ბინის გაკეთებაო.“ ბატონს „დროებაში“ მე ეს არსად წამიკითხავს. ეს ალბათ „კავკაზის“ კორესპონდენტს მოზმანებია ძილში!.. ახირებულია მართლა ზოგიერთი კორრესპონდენტი! დაიჯინებს ერთ სისულელეს, აქაოდა შაგირდების ბინის გაკეთება სასარგებლოაო! ვინ არ იცის ეს? პანსიონსაც თუ გავაკეთებთ, ის აჯობებს ჩემის ჰაზრით. სად არის ამდენი საშუალება, რომ ყველა გლეხის შვილებს სახელმწიფო ბინა გაუკეთო!..

ქვირილის საზოგადოებაში ძლიერ განხეთქილება სუფევსო, ამბობს „კავკაზის“ კორრესპონდენტი და ამიტომ არ კეთდება ერთად-ერთი გზა, რომელიც მიდის ვაკზალიდამ ქვირილის სასტუმრომდინ და სასამართლომდინო.“ ქვირილის საზოგადოებას არ შეადგენენ მარტო ჩინოვნიკები. განხეთქილება ერთმანეთში აქვს აქ ჩინოვნიკობას და სხვა ხალხი მშვენივრად ცხოვრებს. რა საჭიროა ფულის მოგროვება გზის გასაკეთებლად? ათიათ საჟენზე შეხვდებათ ქვიშის დაყრა, ზ. ბ. მაზრის უფროს, ბარონ მერნცენფელდს, მიროვოის სუდის სეკრეტარს და ნ. ჩიკვაიძეს. ეს გზა გაივლის იმათ ადგილებში და იმათ სახლების წინ და კანონიც არის მათ გააკეთონ... წყაროსთან გზა არის წამხდარი რკინის გზის კამპანიისაგან და მანვე უნდა გააკეთოს. საქმე იმაშია, რომ ამ უეზდს თავი კაცი არა ჰყავს და სანამ ამისთანა თავი კაცი არ გამოჩნდება, მანამ არა გაკეთდება-რა და საზოგადოების რა ბრალია?...

დ—ნ. დ—ე.

# ნარევი

რუსულ გაზეთში ერთის პოლშურის გაზეთიდამ გადმობეჭდილია შემდეგი საყურადღებო წერილი გამოჩენილის პოლშის მწერლის ი. კრაშევსკისა:

„ყოველთვის მსურდა თავიდამ აშეცილებინა სიდამე პოლემიკა ჩემს საკუთარს პიროვნებაზედ. ამიტომ არ მინდოდა პასუხი გამეცა იმ რუსულ გაზეთებისათვის, რომელნიც ხშირად ჩემზე ლაპარაკობენ, ჩემს რწმენაზე, აზრებზე და მიმართულებაზედ უკუღმართად სჯიან.

„მაგრამ „ვარშავის გაზეთში“ დაბეჭდილი სტატია, რომელიც მიცავს მე რუსის გაზეთის ცილის-წამებისაგან, მაიძულებს გამოვაცხადო, რომ ჩემს სიცოცხლეში არ გამომიცვლია ჩემი აზრები.

„ადრეც იმ აზრისა ვიყავი და დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ ყველა ხალხს თანასწორი უფლება აქვს არსებობისა, და რომ არავითარი სახელმწიფო საჭიროება არ მოითხოვს, ერთმა ხალხმა მეორე გაანადგუროს; ამ გვარი განადგურება ხალხისა ყოველთვის და ყველგან ადამიანის უფლებათა დარღვევა და უსამართლობა იქნება.

„ადრეც იმ აზრისა ვიყავი და დღესაც იმ აზრისა ვარ, რომ ძალ-დატანება, ჩაგვრა და შევიწროება არასოდეს კარგს ნაყოფს არ გამოიღებს, — პირიქით მავნებელია თვით იმისთვის, ვინც ასე მოქმედობს.

„არასოდეს არ მძულებია და არც ესლა მძულს რომელიმე ხალხი; ყველას ერთნაირ პატივს ვსცემ. მე არ შემიძლია მხოლოდ თანაუგრძნო იმ პირთა და საზოგადო წყობილებას, რომელნიც ჩემის აზრისა და რწმენის წინააღმდეგნი არიან.

„რასაც ახლა რუსეთში „პოლშის საქმეს ეძახიან“, არის მხოლოდ საგანი, რომელიც პირ-და-პირ კაცობრიობის თვით შობილ უფლებას შეეხება. აქ ადგილი არ არის, თუ რა ისტორიულ მოვლენათა წყალობით ჩავარდა პოლშა ამისთანა მდგომარეობაში.

„კარგად გაგებული სახელმწიფო ინტერესი აქაც და ყველგანაც — მოითხოვს, რომ ისარგებლონ ხალხის ძალით, და არ ეცადონ ამ ძალის დაჩაგვრას, მოკვლას. ძალ-დატანებით თავს ვერავის შევაყვარებთ, ვერავის ვერ ვემსახურებთ.

„იმისთანა დროს არა ვცხოვრობთ ახლა ჩვენ, როდესაც შეიძლებოდა ხალხის დაჩაგვრა, იმ ხალხისა, რომელიც გრძნობს, რომ იმას არსებობის უფლება აქვს მინიჭებული.

„ამას ვამბობდი მე ყოველთვის და ამ ძველებურს ჩემს [illegible] დღემდინაც.

„ჩემის სამშობლოს სიყვარული და პატივისცემა არ მიშლის მე, სხვა ხალხებსაც ვსცე პატივი, თუ კი ისინი მართლა ღირსნი არიან პატივის-ცემისა.

ი. კრაშევსკი.

დრეზდენი, 4 იანვარს 1881.

* * *

გამოჩენილი არტისტკა სარა ბერნარი ამ ჟამად ამერიკაში თამაშობს. იქაური სამღვდელოება აღელვებულია თურმე და მუდამ იმას უქადაგებენ, რომ სარა ბერნარი არღვევს ოჯახობის მშვიდობიანობასო. ვინ იცის თავის თამაშით რამდენი ცოლ-ქმარი წაჰკიდა ერთმანეთსა, რამდენ ქმრებს იზიდავსო.

ყოველი წარმოდგენა, რომ ღამესაც ის იღებს მონაწილეობას, აძლევს თურმე 30,000 ფრანკს შემოსავალს.

* * *

ბაბილონში უპოვნიათ ერთი შესანიშნავი არხეოლოგიური ნაშთი სხვა-და-სხვა ზედ-წარწერებით. ამ ზედ-წარწერებით, ჰფიქრობენ, შეიმსებაო ის ნაკლულევანება, რომელიც აქამდისინ არავის შეუნიშნავს ბაბილონის ისტორიაში. მაგალითად, იმათგან სჩანს, რომ ხუთმეტი საუკუნის წინათ ქრისტეს დაბადებამდის, ბაბილონში ყოფილა არეულება (რევოლიუცია) და მართებლობის შეცვლა, რომელზედაც ისტორია არ მოგვითხრობდა.

* * *

ამ ცოტა ხანში გერმანიაში გარდაიცვალა მემკვიდრე ერთ დროს გამოჩენილი პოლშელი გვარისა, რომელმაც უანდერძა თავის დას ფულად 16,000,000 მანეთი და უძრავი მამულებისაგან შემოსავალი სხვა-და-სხვა მაზრებში 5,000,000 მანეთს შეადგენს. ამ ქალს, მიუღია თუ არა ეს მემკვიდრეობა, აი როგორ მოუხმარია: 75,000 მან. შეუწირავს ქ. ვილ-

---

ყოველი ხმა და ხმაურობა წარმოსდგება ჰაერის რხევისაგან (მოძრაობისაგან). ერთი ხმა მეორისაგან გაირჩევა იმ სისწრაფით, რომლითაც ხმის გამომცემი საგანი არხევს ჰაერს. მომატებული სისწრაფით შერხეული ჰაერი ჰბადებს მაღალს ხმას, და ნაკლების სისწრაფით შერხეული მდაბალს ხმას. კაცის ნათქვამი სიტყვა შესდგება სხვა-და-სხვა სიმაღლის ხმისაგან; მაშასადამე ყოველს სიტყვის შემადგენელს ხმას თავისი კუთვნილი სისწრაფით ჰაერის შერხევის ანგარიში და ზომა აქვს.

პირველს სტანციაზედ ნათქვამი სიტყვა, რაც იმ სიტყვის შემადგენელს ხმებს შეჰფერის, იმ სისწრაფით შეარხევს აპპარატის მეშს. აპპარატის მეში იმავე სისწრაფით ატოკებს მასზედ თავ-დაღმა მიკრულს კარტს; ამის გამო კარტში გამავალი ელექტრონული სინათლის შუქიც მეშის რხევის დაგვარად ქრთება მეორე სტანციაზედ ხელში მდებარე ელექტრონული ძალა, სინათლის შუქის ქრთომის თანავე, ხან მატულობს, ხან კლებულობს და ხან სულაც ისპობა. სელენთან ახლო დაკრული ფოლადის მავთულიც ელექტრონული ძალის ცვლილების ამებრ ხან მომატებული სისწრაფით და ხან ნაკლებით არხევს ჰაერს და ამ სახით გამოაცემინებს მას იმავე ხმებს, როლიდგანაც პირველ სტანციაზედ ნათქვამი სიტყვა, ანუ მთელი ლაპარაკი, იყო შემდგარი.

მხოლო-ხან ზრაჰამ ბელლს მოუვიდა ერთი დიდად გაბედული და მახვილი ჰაზრი; მან მოიწადინა გაეგონებინა თავისი ფოტოფონით დედა-მიწაზედ ის ხმაურობა, რომელიც სწარმოობს მზეზედ!

სახელ-განთქმულმა ვარსკვლავთმრიცხველმა იანსენმა აუწყა ბელლსა, რომ მან შენიშნა მზის ფოტოსფეროში (ცეცხლიებრ გახურებული ჰაერგვარ ნივთიერებისაგან შემდგარი მზის ატმოსფერა—ჰაერია) გამოუთქმელის სისწრაფის მოძრაობანი. ბელლმა და იანსენმა სცადეს ფოტოფონით აღედგინათ დედამიწაზედ იმის მსგავსი ხმაურობა, რომელიც ფოტოსფერის მოძრაობისაგან უნდა სწარმოებდეს მზეზედ; მაგრამ იმათმა ცდამ ფუჭათ ჩაიარა. იანსენმა ეს გარემოება მით ახსნა, რომ თვით უკეთესნი ჩვენი იარაღები არ გადმოგვცემენ სიშორის გამო ყველა იმ ცვლილებათ, რომელნიც მზეზედა ჰხდებიან. ჩვენ მხოლოდ მზეზედ მომხდარს უდიდეს ცვლილებათა ვეტყობულობთ და წვრილი ცვლილებებისას კი ჩვენი იარაღები ვერას გვეუბნებიან. დიდრონი ცვლილებანი კიდევ, ეტყობა, არ მოსდევენ ერთმანერთს იმ ნაირის სისწრაფით, რომ მათი მოქმედებით ფოტოფონის სელენში გატარებული ელექტრონული დენა ისე ძლიერად არხევდეს ფოლადის მავთულს, რომ მან გამოაცემინოს ჰაერს თვით უმდაბლესი ხმაც.

იანსენმა და ბელლმა მოიფიქრეს, რომ ფოტოფონზედ თვით მზეს კი ნუ ვამოქმედებთო, არამედ ზედი-ზედ მზისაგან გადმოღებულს ტელლესკოპიურს ფოტოგრაფიებსაო. თუ რომ ეს ფოტოგრაფიები ერთი-ერთმანეთის შემდეგ ჯეროვანის სისწრაფით გავატარეთ ფოტოფონის სელენთანაო, უთუოთ ფოტოფონმა მზეზედ მომხდარი ხმაურობა უნდა გამოსცესო. იანსენი ბელლს მზის ფოტოგრაფიებს დაჰპირდა და ბელლი იანსენს თავის გაუმჯობესებულს ფოტოფონს.

ვნახოთ რა გამოვა მათი ცდიდამ.

თ. ა.

ხოში თვალების საავათმყოფოს დაარსე-ბისათვის, 15,000 მან. ქ. მოდლინში საავათმყოფოს დასაარსებლად და 100,0 0 მან. ქ. ვარშავის, კოვნოს, ვილნოს და ბრესტ-ლიტოვსკის ღარიბებისათვის და-სარიგებლად.

---

# განცხადებანი

—

**კვირას, 25 იანვარს**

**თფილისის კლუბის ზალაში იქნება**

# ბ ა ლ ი

**კავკასიის მხრის ექიმების ქვრივ-ობლების სასარგებლოდ.**

ბილეთები ისყიდება შაევრდოვის სააგენტოში და თფილისის კლუბის შვეიცართან და ბალის დღეს კლუბის შესავალში.

ქალებისათვის გულ-ამოჭრილი კაბები ეტიკეტის დარღვევად არ შეადგენს.

შესვლის ფასი: კაცებისთვის 2 მ. და ქალებისთვის 1 მ.

დასაწყისი 9 საათზედ საღამოთი.

(3—1)

---

## საავათმყოფო

ავათმყოფები მიიღებიან დილის 9 საათიდამ 1 საათამდი.

**ორშაბათს.** **გავრანსკი**—ექიმი ბებიობისა და ქალების ავათმყოფობისა; **გორალევიჩი** და **ლისიცოვი** შინაგან ავათმყოფობისა; **როტინიანცი** ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; **ბაბაევი** ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობისა; **შტემბორსკი** ვენერიული და ტყავის ავათმყოფობისა; **ქიურჩარიანცი** ხირურგიული და თვალების ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** **მინკევიჩი**—ხირურგიული ავათმყოფობისა; **რეიხი**—თვალების ავათმყოფობისა; **ბახუტოვი**—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; **ლისიცოვი** და **გერმიშოვი**—შინაგან ავათმყოფობისა; **შეტროვსკი**—ვენერიულ ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს** **კრასნოგლიადოვი** და **ლისიცოვი** შინაგან ავათმყოფობისა; **ქიურჩარიანცი** და **შტემბორსკი**—რიფილიტიკური და ტყავის ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს** **გავრონსკი**—ბებიობისა და ქალების ავათმყოფობისა; **როტინიანცი**—ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; **ბაბაევი** ძარღვების სისუსტისა და ელექტრო-ტერაპიისა **ლისიცოვი** და **შეტროვსკი**—შინაგან ავათმყოფობისა; **ქიურჩარიანცი** 1-ლი სიფილისტიკური ავათმყოფობის

**პარასკევი.** **მინკევიჩი**— ხირურგიულ ავათმყოფობისა; **ბახუტოვი**—ბებიობისა, ქალებისა და ყმაწვილების ავათმყოფობისა; **კრასნოგლიადოვი**, **ლისიცევი** და **გერმიშოვი**—შინაგან ავათმყოფობისა; **შტემბორსკი**—ვენერიული და ტყავის ავათმყოფობისა.

**შაბათი.** **ლისიცოვი**—შინაგან ავათმყოფობისა. **რეიხი**—თვალების ავათმყოფობისა; **ბაბაევი**—ძარღვების სისუსტისა და შინაგან ავათმყოფობის; **ქიურჩარიანცი 2-რე**—ქალებისა და შინაგან ავათმყოფობისა; **შეტროვსკი**—ვენერიულ ავათმყოფობისა.

**ობრეხტი**—კბილების ავათმყოფებს მიიღებს თავის სახლში მუდამ დროს ღარიბებს საავათმყოფოს ბარათებით.

---

მოკლეს დროში, ქართულის დრამატიკულის ხელოვნების მოსიყვარულეთაგან წარმოდგენილ იქნება **„მ ე დ ე ი ა“ ისტორიული ტრაგედია**, სამს მოქმედებად ნათარგ. იგ. **კერესელიძისაგან.**

მოქმედება წარმოდგება **საბერძნეთში**, ქალაქს კორინთოში.

(3—2)

---

# ქუთაისის

ტრანსპორტნი კანტორა ძმათა თუთუნოვებისა,მ.რთველი ივანე პასიკოვი, სთხოვს საზოგადოთ ქუთაისის გუბერნიის მოვაჭრებსა და ეგრეთვე მქონებელსა

# ბამბისა

ვისაც აქვს გასასყიდი, მობძანდნენ კანტორაში, ბულვარის პირ-და-პირ ივანე ზედგინიძის სახლში საქალაქო ბანკის ქვეშ, სადაც გაურიგდებიან ფასს ანუ პირ-და-პირ მოიტანენ და მაზანდაზედ მიიღებს კანტორა. ნაღდფულზედ.

(5—2)

---

ამ წლის 7-ს იანვარს ბუნიბის მოედანზე, ბოდფრუას ცირკის გვერდით გავხსენი

**ზალა გიმნასტიკის ვარჯიშობისა,**

სადაც ყველა ხნის კაცებსა და ქალებს შეუძლიანთ გიმნასტიკური ვარჯიშობა დილის 8 საათიდამ საღამოს 10 საათამდინ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან აქვე ზალის კანტორაში, რომელიც შუა დღიდამ 2 საათამდინ გაღებულია.

აქვე ასწავლიან კანკებით ცურვას და ვარჯიშობას ველოსიპედით; ასწავლიან აგრეთვე ფეხტოვანას.

(6—1)

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

მაღარის წვენი ჩაი—1 მ. 10 კ. მოხუცის ჩაი—1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — —1—20 | — —1—60 |
| — — —1—40 | — —1—80 |
| — — —1—60 | — —2— „ |
| — — —1—80 | — —2—50 |
| საუკეთესო—2— „ | — —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჰურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კლენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის.

(100—82)

---

**შ ე ნ ი შ ნ ვ ა**

**რადგან მთელს ქვეყანაში გამოჩენილი და მიღებული წამალი.**

**თმის გასამაგრებელი**

**მაკ - მასტერი**

ერთობ ბევრი ისყიდება, ამის გამო **ინგლისის მაღაზიაში** ეს წამალი ეხლა 2 მანეთად ღირს.

(100—96)

---

**პატენტიანი შროტკები**

თმებისათვის 1 მ. 50-დამ და ცხენებისათვის 1 მ. 75-დამ; ყვავილები საზურაგებით 2 მანეთიდამ; სარკეები 30 კაპ.; რუმკები 5 კ.-დამ; ფილტრები (წყლის დასაწმენდი) 3 მ.-დამ და ვედრები 1 მან.-დამ; თეფშები 2 მ.-დამ ინიდუჟ; მოკოლადის კანფეტები 20 კ.-დამ თითო ყუთი და სხვ. **ინგლისურს მაღაზიაში.**

(100—82)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაიდნებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგირებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩევინი ზეთისა) და სხვ. საავენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამბ. მე-

რაბისა, აგრეთვე ჩუჟქვიტა და წიგნებისა ნიტინგალიდამ [illegible] სიგარები.

(100—10)

---

**ინგლისის მაღაზიაში** ისყიდება რევოლვერები, რომლითაც შეიძლება ოცი ავაზაკის ერთად მოკვლა, ფასი 1 მან. 50 კაპ. ყველა ინგლისის იარაღები ისყიდება აქ 30 პროცენტ ნაკლებ ვირემც სხვაგან.

(20—12)

---

**ლონდონის მაღაზია**

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და საუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ...

(100—21)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ., მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში.** საავენტო ბარნსბის უნაგირების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ექსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინივით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ გაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ზლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვლების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—10

---

ქ უ თ ა ი ს შ ი

# „ივანე ნიკოლაძის და შვილების“

**მ ო დ ი ს   მ ა ღ ა ზ ი ა შ ი**

**ისყიდება ყველაფერი რაც გინდა სულო და გულო:**

მანდილოსნების ტანისამოსი, ოქროულობა, დიდ-ძალი და ჩინებული შუშეულობა, მშვენიერი საცვალი კაცისა და ქალების გასაოცარ იაფად. წარმოიდგინეთ: პარიჟში საგანგებოდ შეკერილი უპირველესი ხარისხის პერანგები თითო 3 მ.ნ. 75 კ. იყიდება! გარდა ამისა საზღვარ-გარეთის ჩინებული ჩექმები, რომელთაც **სიმტკიცე აქვს ნაჭედისა და სილბილე ნაქსოვისა;** ძალიან ბევრი სათამაშოები ბავშებისათვის და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ვისაც რა გნებავთ, შებძანდით **„ივანე ნიკოლაძის და შვილების“** მოდის მაღაზიაში და იქ იპოვნით ყველაფერს ძალიან ხელ-მისაცემ ფასად, ასე რომ შემდეგში მუდამ მადლობელი იქნებით ამ მაღაზიისა.

(10—9)

---

Дозволено цензурою. Тифлисъ 22 Января 1881 г. Типографія Меликова ბამ-მც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი